



599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru



გაზეთი
გამოცემის
1948 წლიდან

რუსთავი

31

ოქტომბერი 2024 წ.

№8
(109761)

ფასი 50 თეთრი

ცესკოს მონაცემებით საპარლამენტო არჩევნებში "ქართულმა ოცნებამ" გაიპარჯვა



2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით „ქართული ოცნება“ ახალ პარლამენტში 89 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი.

ოპოზიციის სტატუსით პარლამენტში ოთხი პოლიტიკური სუბიექტი შევა, რომელსაც ჯამში 61 მანდატი ექნება. უფრო კონკრეტულად, მანდატები ასე ნაწილდება:

- „კოალიცია ცვლილებისთვის“ - 18 მანდატი,
- „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ - 17 მანდატი,
- „ძლიერი საქართველო“ - 14 მანდატი,
- „გახარია საქართველოსთვის“ - 12 მანდატი.

ოპოზიციური პარტიები არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევენ და მის შედეგებს არ აღიარებენ, არც პარლამენტში შესვლას აპირებენ. ისინი შედეგების გადასინჯვას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ, აანონსებენ ხალხმრავალი აქციების გამართვას.

რუსთავში ჭაღის ტყის აღდგენა იწყება



რუსთავის მერმა ქალაქში სპორტის სფეროში გატარებული რეფორმისა და რუსთაველი სპორტსმენების მიღწევების შესახებ პრეზენტაცია გამართა



რუსთავს კიდევ ერთი უიდასაუბრო რეკრეაციული სივრცე შეემატა

გვ.-2



რუსთავის მერიამ, საქართველოში პირველად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების“ ფორუმი გამართა



რუსთავის მერიამ 450 წარმატებულ რუსთაველ სპორტსმენს და მწვრთნელს სრული სპორტული აკიპირება შეუძინა

გვ.-3

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

რუსთავში ჭალის ტყის აღდგენა იწყება

რუსთავის ჰაერის ხარისხის და ეკოსისტემის გაუმჯობესებისთვის გარემოს დაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღებით დაწყებული უმნიშვნელოვანესი პროცესი ახალ ეტაპზე გადადის- საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის და რუსთავის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, რუსთავში, ათწლეულების ეკოლოგიური პროექტი განხორციელდება.



ჯობესებას ისახავს მიზნად. რუსთავის ჭალის ტყეები, ქალაქის საზღვრებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე, ძველსა და ახალ ხიდს შორის არსებულ სივრცეს მოიცავს, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ენერგეტიკული კრიზისის დროს, სერიოზული ზიანი მიადგა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჭალის ტყე ნაწილობრივ ბუნებრივად აღდგა, თუმცა მისი განვითარების ჩამოყალიბებული სტრატეგია დღემდე არ არსებობდა.

რუსთავის ფილტვებად მიჩნეული ტერიტორიის ფლორის აღდგენა გარემოს დაცვის ფონდიდან დაფინანსდება. ეს არის პირველი პროექტი, რომელიც გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შედეგად აკუმულირებული თანხებით განხორციელდება.

ბრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი ესწრებოდნენ.

შემუშავების პროცესში, „მოქალაქეთა ასამბლეის“ ფარგლებში, რიგითი რუსთაველებიც იყვნენ ჩართულები.

ნერგი დაირგვება, მოენყობა ფოტოხაფანგები, ტურისტულ-რეკრეაციული სივრცეები, მყარი ნარჩენებისგან წყლის დამცავი ბარიერები, განსაზღვრულია აუცილებელი სპეციალური ტექნიკის შესყიდვა.

ჭალის ტყეების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რუსთავის მერიამ პროექტის - „გადავურჩინოთ ბუნება საქართველოს“ ფარგლებში, შედეგთა განვითარების სააგენტოს (სიდა) ჩართულობით შეიმუშავა.

ჭალის ტყის განვითარების ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც 320 ჰექტარი ტერიტორიის განაშენიანებას ითვალისწინებს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რუსთავის მერიას გადასცა და მისი განხორციელების პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება. კვლევის შედეგად გამოვლენილ ტერიტორიაზე 60 000

სტრატეგია, რომლის მიხედვითაც რუსთავის ბუნებრივი ჭალის ტყის აღდგენა მოხდება, კომპლექსურია და საბოლოოდ რუსთავის ჭალის ტყის ეკოსისტემის აღდგენას და დაცვას, რეკრეაციული და ტურისტული ფუნქციის განვითარებას და ქალაქის ჰაერის ხარისხის გაუმ-

ამ ეტაპზე, უკვე 900-მდე ახალი ნერგია დარგული.

ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მერი:

- დიდი მადლობა საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ შესაძლებლობისთვის და რუსთაველებს - აქტიურობისთვის.

მისარია, რომ ჩვენს თაობას და ჩვენს გუნდს მოგვეცა შესაძლებლობა, რუსთავისთვის ასეთი მნიშვნელობის ეკოლოგიური პროექტის განხორციელება დაგვეწყო.

რუსთავს მოსახლეობასთან ერთად დაგეგმილი კიდევ ერთი უიდასაუბრო რეკრეაციული სივრცე შეემატა



მე-7 მიკრორაიონის №12-17 კორპუსებს შორის მონყობილი ახალი სკვერი რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ მოსახლეობასთან ერთად გახსნა.

ახალ უიდასაუბრო სკვერში რუსთავის მოქანდაკეთა სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი ქანდაკება- ახალგაზრდა რუსთაველი ხელოვანის, რატი ჯიქიას სკულპტურა-„ოჯახი“ განთავსდა.

„ოჯახი“ რუსთავის მოქანდაკეთა სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი უკვე მესამე ქანდაკებაა, რომელმაც საკუთარი ადგილი რუსთავში უკვე დაიკავა.

ლონისძიებს რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები და რუსთაველი მოქანდაკეები ესწრებოდნენ.

ახალ სკვერში საბავშვო ატრაქციონები და დასასვენებელი ზონებია მონყობილი.

აფხაზეთის ქუჩაზე გამწვანების აქცია მოეწყო

აქციის ფარგლებში 40 ძირი არყის ხე დაირგო. გამწვანების აქციაში, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა, პარლამენტარმა ალექსანდრე დალაქიშვილმა ახალგაზრდებთან და „რუსთაველის ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა.

აფხაზეთის და ლომოური-აფხაზეთის დამაკავშირებელი გზების სრული რეაბილიტაცია ახლახან დასრულდა.



ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის ქუჩაზე, მე-7, მე-8 მიკრორაიონებს შორის და ლომოურის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზებზე, სრულიად ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო.

პროექტის თანახმად, აღნიშნულ ქუჩებზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყო მწვანე სივრცეები, სანიაღვრე ქსელი, გაკეთდა ველობილიკები, ტროტუარები, გარე განათებისა და სარწყავი სისტემები. საგზაო სამუშაოების პარალელურად, კომპანია GWP-იმ აფხაზეთის ქუჩაზე 500 მმ დიამეტრის მაგისტრალური წყალსადენი შეცვალა, მოეწყო ახალი წყალარინების ქსელი და ჩამკეტი ურდულეები. ბუნებრივი აირისა და ელექტროკომუნიკაციები მოეწყო მინისქვეშ.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა სანიაღვრე ქსელი, მოეწყო 500 მმ დიამეტრის კოლექტორი.

რუსთავის მერიამ, საქართველოში პირველად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების“ ფორუმი გამართა

ფორუმში რუსთავის ბინათმესაკუთრეთა 778-მა ამხანაგობის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

რუსთავში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების მიზნით, მიმდინარე რეფორმები და კორპუსების განვითარების ახალი კონცეფცია ფორუმის მონაწილეებს რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ წარუდგინა.

ლონისძიებას რუსთავის მათორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, მერის მოადგილეები, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ და რუსთავის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების მიზნით დანერგული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქალაქში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვაში მოსახლეობის კიდევ უფრო აქტიურად ჩართვაა.

ერთ-ერთი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც რუსთავში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერება იგეგმება, კერძო



ბიზნესთან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. ბიზნესთან თანამშრომლობა კი კონკრეტული კორპუსის მოსახლეობას ამხანაგობის განვითარების და კორპუსში არსებული საცხოვრებელი პირობების საკუთარი შემოსავლით გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების და

კორპუსებში მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს, „რუსთავის კორპუსის“ ბიუჯეტი 114%-ით აღემატებოდა 2023 წლის ბიუჯეტს. შედეგად, კორპუსების კეთილმოწყობის, ავარიული შენობების გამაგრების,

ტი 114%-ით აღემატებოდა 2023 წლის ბიუჯეტს. შედეგად, კორპუსების კეთილმოწყობის, ავარიული შენობების გამაგრების,



ნინო ლაცაბიძე: - რუსთავის კიდევ უფრო მეტად განვითარება არის ჩვენი მთავარი მიზანი და ამ მიმართულებით, ჩვენს გუნდს ახალი სტრატეგია და გეგმები აქვს

სადარბაზოს რემონტის და სხვა სახის სამუშაოები ამ ეტაპისთვის 350-მდე მისამართზე განხორციელებული.

ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 260 პროექტი დასრულდა, საცხოვრებელი კორპუსების გადასურვის მიზნით კი 105 პროექტია შესრულებული.

ფორუმის მიმდინარეობისას პრეზენტაცია წარადგინა პლასტმასის და ალუმინის ნარჩენების გადამამუშავებელმა კომპანია „სპარკლომ“, რომელთან ერთადაც, რუსთავის მერიამ, ეკოპროექტის განხორციელება დაიწყო.

რუსთავი იქნება ერთ-ერთი პირველი ქალაქი საქართველოში, რომელიც პლასტმასის და ალუმინის ნარჩენების ეკოლოგიურ პრობლემას ინოვაციური მეთოდით გადაწყვეტს.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაძლიერების“ ფორუმის დასასრულს, სამი ყველაზე აქტიური ამხანაგობის თავმჯდომარე დააჯილდოეს, ოთხს კი მადლობის სიგელი გადასცეს.

რუსთავის მერიამ 450 წარმატებულ რუსთაველ სპორტსმენს და მწვრთნელს სრული სპორტული აკიპირება უზუქინა



ამიერიდან რუსთაველი სპორტსმენები ყველა საერთაშორისო, საქალაქო ტურნირებსა და ჩემპიონატებზე ქალაქის ბრენდინგით გაფორმებული მაღალი ხარისხის სამოსით წარდგებიან.

ექსკლუზიურად შექმნილი სპორტული სამოსი წარმატებულ სპორტსმენებსა და სპორტის განვითარების ცენტრის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელს რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ გადასცა.

ქალაქის მერმა მათ სპორტულ კარიერაში შემდგომი წარმატებები უსურვა და რუსთავის სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული რეფორმის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

რუსთავის სპორტის საგანმანათლებლო მუზეუმში გამართულ ღონისძიებას საქართველოს პარლამენტში რუსთავის მათორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, რუსთაველი სპორტსმენები და მწვრთნელები ესწრებოდნენ.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში რუსთავში ყოველწლიურად 1200 მოსწავლე ვარჯიშობს.

საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ტურნირებზე წარმატებით მოასპარევე რუსთაველი სპორტსმენები მერიისგან დანერგულ სპეციალურ სტიპენდიას იღებენ.

რუსთავის მერმა ქალაქში სპორტის სფეროში გატარებული რეფორმისა და რუსთაველი სპორტსმენების მიღწევების შესახებ პრეზენტაცია გამართა

სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დობტურიშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა შოთა ხაბარელმა, ირაკლი შატაკიშვილმა და ალექსანდრე დალაქიშვილმა.

ლონისძიებას რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რუსთაველი ოლიმპიელები გიორგი სარდალაშვილი და ლაშა გურული, მოქმედი და ყოფილი სპორტსმენები, დამსახურებული მწვრთნელები ესწრებოდნენ.

სპორტის მუზეუმი სამუშაო, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო სივრცეებს აერთიანებს. საექსპოზიციო სივრცეში საერთაშორისო ასპარეზობებზე რუსთაველი სპორტსმენების წარმატებების ამსახველი ჯილდოები, თასები და ფოტოებია წარმოდგენილი. საგანმანათლებლო სივრცეში კი სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროექტები დაიგეგმება და განხორციელდება.

მუზეუმი რუსთავის მერიის ინიციატივით, სპორტის განვითარების ცენტრის რეფორმის ფარგლებში გაიხსნა.

- რუსთავში სპორტის საგანმანათლებლო მუზეუმი იქნება სივრცე, სადაც არცერთი რუსთაველი სპორტსმენის სახელი და წარმატება არ მიეცემა დავიწყებას, - აღნიშნა ნინო ლაცაბიძემ



შიდასაქალაქო მუნიციპალურ ავტობუსებს რუსთაველების თხოვნით სამი ახალი მარშრუტი დაემატა

პროექტი სამენარეო საქმიანობით დაინტერესებულთათვის



№10 მუნიციპალური ავტობუსი მგზავრებს ყოველ შაბათ-კვირას, თამარ მეფის მოედნიდან რუსთავის ახალი სასაფლაოს მიმართულებით, დილის 08:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე უფასოდ მოემსახურება. ავტობუსების გასვლის ინტერვალი იქნება ერთი საათი.

მოსახლეობის თხოვნით დაკორექტირდა №3 ავტობუსის მარშრუტი და დაე-

მატება ლომოური-აფხაზეთისა და მე-7- მე-8 მიკრორაიონების დამაკავშირებელი გზები, სადაც სრულიად ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად, ახალი მგზავრთა მოსაცდელებიც დამონტაჟდა.

რუსთავის მომსახურების სააგენტოსა და ავტობაზრობის მიმართულებით კი დაინიშნა ახალი №8 ავტობუსი, რომელიც „რუსთავი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიიდან შემდეგი მარშრუტით იმოძრაავს: „რუსთავი მოლი“, შარტავას გამზირი, თამარ მეფის მოედანი, მომსახურების სააგენტო, ავტობაზრობა.

რუსთავის საგანმანათლებლო ობიექტი – კოლეჯი „მოდუსი“ ქვეშეშედიან მთელი ქვემო ქართლისა და რუსთავის მასშტაბით ახალგაზრდების პროფესიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად ნამდვილად ახალ ჰაბად იქცა, სადაც სწავლისა და შრომითი უნარების განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი შენობა-გარემოთი თუ ტექნიკური რესურსებით.

ამჟამად „მოდუსში“ ფრიად საინტერესო პროექტი ხორციელდება სამენარეო საქმიანობით დაინტერესებული ადამიანებისათვის. პროექტის ავტორი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო – „ჯიტაა“, რომელიც კოლეჯ „მოდუსთან“ პარტნიორობით ატარებს, უფრო სწორად იწყებს პრეაქსელერაციის პროგრამას რუსთავში.

ისე რომ, თუ ვინმეს აქვს იდეა და არ იცის, იდეა ნამდვილ ბიზნესად როგორ აქციოს, „ჯიტაა“ და „ჯის“ ინოვაციებისა და მენარეოების ცენტრის „პრეაქსელერატორის“ პროექტით უნდა დაინტერესდეს და ისარგებლოს.

პროექტი დაიწყო და ბევრი მონაწილეც მიიზიდა. მონაწილეები გავედივართ მოსამზადებელ პროგრამას, რათა მონაწილეობა მივიღოთ „ჯიტას“ 25000 ლარიან საგრანტო კონკურსში საკუთარი იდეების განვითარებით, სხვადასხვა შესაძლებლობების გამოვლენით და იდეების განხორციელებით.

პროგრამა 7 კვირის მანძილზე გასტანს. ლექციებსა და სემინარებს კვალიფიციური ტრენერები და სტარტაპერები ატარებენ. მონაწილეთა ასაკი 16+-ია. პროგრამაში მონაწილეობა დაფინანსებულია ინოვაციები-



სა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ.

ფაქტის კვალობაზე თამამად შეიძლება ითქვას და შეფასდეს კიდევ, რომ ტრენერები სანდრო კანდელაკი და ირაკლი სვანიძე მზად არიან, ნებისმიერ კითხვას გასცენ პასუხი და ყველა მონაწილე ღონისძიების აქტიურ თანამონაწილედ აქციონ, ისეთად, რომელიც თავის ინტელექტუალურ მზობას გამოავლენს და პრეტენზიაც ექნება გამარჯვებისა.

პროექტის ყველა მონაწილე მადლობას უხდის ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობას, კოლეჯ „მოდუსის“ ადმინისტრაციას, რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ამ ღონისძიების ჩვენს ქალაქში ჩატარებისათვის.

ლია მარტაშვილი

საიდან სტუმრობდა საქართველოს ყველაზე მეტი ვიზიტორი

2024 წლის მე-3 კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 2.8 მილიონი შემოსვლა, რაც 2.5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.


მათივე ცნობით, შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 41.7 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ

ამასთან, „საქსტატის“ ცნობითვე, აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 2.4 მილიონი შეადგინა, რაც 2.5 პროცენტით მეტია 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

„2024 წლის მე-3 კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია, რაც 2.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 1.9 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 8.3 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების 79.2 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 16.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 3.9 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

2024 წლის მე-3 კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 496 ათასი, დაფიქ-



სირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 24.6 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა თურქეთი 17.4%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - სომხეთი 13.1%-იანი წილით. შესაბამისად, ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციის (583.5 ათასი), თურქეთისა (436.3 ათასი) და სომხეთის (344.6 ათასი) მოქალაქეების მიერ.

ვიზიტორების უმრავლესობა, 46.3 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 47.1 პროცენტს შეადგენდა.

2024 წლის მე-3 კვარტალში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი (59.2 პროცენტი) განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და

თბილისში, შესაბამისად, 1 179 500 და 1 124 800 ვიზიტი.

2024 წლის მე-3 კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათვლილი ღირებულების საშუალო რაოდენობამ 6.2 ლამე შეადგინა, რაც 2023 წლის მე-3 კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (5.8 ლამე) 7.2 პროცენტით მეტია. განხორციელებული ვიზიტების 72.8 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს.

2024 წლის მე-3 კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას განეული ხარჯები 5.7 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 18.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2023 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით 15.2 პროცენტით გაიზარდა და 2 426.6 ლარი შეადგინა, - აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები მზარდია. საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის III კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 5.7 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 18.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ამასთან, წლიურად 15.2%-ით გაიზარდა ვიზიტზე საშუალო ხარჯი და 2 426.6 ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ III კვარტალი ზაფხულის ტურისტულად აქტიურ თვეებს ივლის-აგვისტოსა და ასევე სექტემბერს მოიცავს.

ამ პერიოდში კატეგორიების მიხედვით, დანახარჯები ასე ნაწილდება:

- განთავსება - 2.2 მლრდ ლარი;
- საკვები და სასმელი - 1.4 მლრდ ლარი;
- საყიდლები - 1.2 მლრდ ლარი;
- ადგილობრივი ტრანსპორტი - 429.4 მლნ ლარი;
- გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები - 379.9 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯი - 64.7 მლნ ლარი.

საქსტატის თანახმად, III კვარტალში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი (59.2%) განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ვიზიტების უმრავლესობა მოდის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისზე. შესაბამისად, 1 მილიონ 179 ათასი და 1 მილიონ 125 ათასი ვიზიტი.

ამასთან, III კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათვლილი ღირებულების საშუალო რაოდენობამ 6.2 ლამე შეადგინა, რაც 2023 წლის III კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (5.8 ლამე) 7.2%-ით მეტია. ვიზიტების 72.8% განმეორებითი ხასიათის იყო.

III კვარტალში ქვეყანაში ვიზიტორების დანახარჯები 5.7 მილიარდამდე დოლარით გაიზარდა რამდენს და რაზე ხარჯავენ უცხოელები?

აკადემიურ ქალაქში მასწავლებლის დღე აღინიშნა

აკადემიური ქალაქის ისტორია კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით შეივსო. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე გავრცელებულმა ინფორმაციამ და მიზნობრივმა სარეკლამო მუშაობამ მთელი ქვემო ქართლის რეგიონში შედეგი გამოიღო. საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის არაფორმალური განათლების სასწავლო ცენტრს უამრავი ახალგაზრდა ეწვია სწავლის გაგრძელების სურვილით. აქ მოვიდნენ ჩვენი თანამოქალაქეების გარდა, ეროვნებით აზერბაიჯანელი, ასირიელი, ბერძენი, სომეხი ახალგაზრდები. მათთან სასწავლო წლის დაწყებისას გამართული საზეიმო შეხვედრა განსაკუთრებული შინაარსისა და ფორმის ღონისძიებით ჩატარდა. ახალგაზრდებთან ერთად რუსთავს ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონიდან პედაგოგებიც ეწვივნენ და კოლეჯის მომავალ სტუდენტებთან ერთად დიდი ინტერესით დაათვალიერეს აკადემიური ქალაქის ტერიტორია, კაბინეტ-აუდიტორიები, შეხვედრენ მასწავლებლებს და ღონისძიებასაც დაესწრნენ.



ღონისძიებას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი და სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი უძღვებოდა. შეხვედრა დიდ სააქტო დარბაზში ჩატარდა, აქ მოსულმა სტუმრებმა თავიანთი სმა შეუერთეს გაჟღერებულ საქართველოს პიქსს და სხვადასხ-

ვს ეროვნების ახალგაზრდებმა გამოსატყის თავიანთი დამოკიდებულება ქართული სახელმწიფო პერალდიკის ამ ერთერთი ნიშნის მიმართ. დარბაზში შეკრებილთ ინსტიტუტის რექტორმა აკად. გარი ჩაფიქმ მიმართა. იგი გულთბილად მიესალმა სტუდენტობის მსურველთ, სხვა დანარჩენ სტუმრებს და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ახლა, როგორც არასდროს, ჩვენს ახალგაზრდა თაობას ძალიან სჭირდება ერთერთთან თანადგომა, სიყვარული, დახლოება და ძალიან ღირსეული კვალიფიციური პედაგოგები. ჩვენმა სასწავლებელმა არაერთი პროფესიონალი გაზარდა, ისინი დღეს ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ ჩვენი ქალაქის სხვადასხვა დარგის ობიექტებში მუშაობენ და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. სიამაყით უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვენი და ჩვენი პედაგო-

გების დამსახურებაა. ჩვენი დღევანდელი თავმოყრა ამ დარბაზში მიზნად ისახავს მასწავლებლის დღის საგანგებოდ აღნიშვნას და თითოეული ჩვენგანის მაღლირი დამოკიდებულების გამჟღავნებას პედაგოგების მიმართ. განათლება ქვეყნისთვის საძირკველია, რაზეც შენდებოდა, შენდება და მომავალშიც უნდა აშენდეს ჩვენი სახელმწიფო. განათლებამ უნდა მიგვიყვანოს სერიოზულ მიღწევებამდე და ამ მიზანმიმართულ საქმიანობაში უდიდესი წვლილი უნდა კვლავაც მასწავლებლებმა შეიტანონ. ქვეყნის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები უკანასკნელ წლებში მოწმობს იმას, აღნიშნა ორატორმა, რომ აუცილებელი გახდა პედაგოგის შრომის ჯეროვნად დაფასება, გაიზარდა ხელფასები, ადგილზე ხელშეწყობა და ეს იმიტომ, რომ შესაბამისად ამაღლდეს სწავ-

ლების ხარისხი კონკრეტულ საგანმანათლებლო ობიექტებში. მან მაღლობა გადაუხადა რეგიონიდან წვეულ პედაგოგებს და ადგილობრივებს უკვე განუული მუშაობისათვის, იმ ზრუნვისა და ამაგისათვის, რასაც ისინი თითოეული ახალგაზრდის მიმართ იჩენენ. ღონისძიების მეორე ნაწილს უძღვებოდა საზოგადოება „სალამის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მაია რაჯიბოვა. იგი ქართველ და არაქართველ ახალგაზრდებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე მიესალმა, საგანგებოდ აღნიშნა რეგიონიდან წვეულ დამსახურებულ მასწავლებელთა ბიოგრაფიების შესახებ. ერთ-ერთ მათგანს მაღინა სასანოვს დაბადებიდან 60 წლის იუბილე საზეიმოდ მიულოცეს. ღონისძიებას სტუმრობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ პედაგოგები მაღინა სასანოვა, ნაილა იბრაგიმოვა, სვეტლანა ისაევა, რუბაბა გასანოვა, ნოვრასტა ემინოვა, დილბარ ბაბაევა და სხვები. ყველამ ერთხმად გამოხატა მოწონება აკადემიური ქალაქის მიმართ და ისაუბრეს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შესახებაც. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ კოლეჯის ლექტორ-პედაგოგები ლეილა გეგეშიძე, ზეინაბ ლამაშვილი, გენრიეტა აბესაძე, მაკა სამხარაძე. ღონისძიების დასასრულს სიტყვა ითხოვა დარბაზში მყოფი ერთ-ერთი აზერბაიჯანელი სტუდენტის ბებომ, გულაიათ მახდიევამ, რომელმაც აღნიშნა: ჩემი შვილიშვილი აქ მეორე წელია სწავლობს, მის სახეზე მუდამ სიხარულს ვხედავ, კოლე-

ლია მარტაშვილი


ახალი წიგნები

ჯემალ დავლიანიძე ნარეობიღბენს

სამშობლოს ერთგული, პატრიოტი ადამიანების წიგნების თაროს აუცილებლად დაამშვენებს გამომცემლობა „საარის“ მიერ ახლახან გამოცემული ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ჯემალ დავლიანიძის მორიგი წიგნი „მწარე გაკვეთილები - ევროპერიკა, რუსეთი და საქართველო“.

წიგნში მოთხრობილია და დოკუმენტურადაა მხილებული გუშინდელი თუ ამჟამინდელი მსოფლიო ბნელეთის წარმომადგენელთა ანტიკაცობრიული საქმიანობა, რასაც ცივილიზებული სამყარო თვითლიკვიდაცისკენ მიჰყავს.

წიგნის რედაქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ელდარ ნადირაძე პირდაპირ მიმართავს მკითხველს: „ვისაც ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მუხთალი დრო, ვის გულთანაც ახლოს არ მისულა ქვეყნის გასაჭირი და სამშობლოს მიმართ უზრუნველი ხასიათით დააჯილდოვა ბუნებამ, შეუძლია წყნარად იყოს, შეუძლია ყურადღებაც არ მიაქციოს ამ ერთ გოდებას ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ, იმ წარსულისა, რომლის მონაწილენი და შემცნობელნი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ჯერ კიდევ დაგვიჯერებია, არ გამოგვრჩენია უსაზღვროდ ტკივილიანი ჭრილობები და გვიკვირს - როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ასეთი მტერი თავისი სამშობლოსი



და მოყვარული მსოლოდ საკუთარი ინტერესებისა და საქმისა“.

ერის სასიკაძულო შვილი, დიდი ქართველი პოეტი მუხრან მაჭავარიანი პატივს მიაგებს რა ჯემალ დავლიანიძის ქეშმარიტ

მამულიშვილურ ცხოვრებისეულ გზას და შემოქმედებას, ასე მიმართავს მას:

ჯემალ დავლიანიძე გულქართულიკაცია, ჯემალ დავლიანიძე ნათელი კაცია, ეკლიანია გზა, რომელსაც ადგას იგი, საკუთარი სინდისი აიძულებს მას იყოს ისეთი, როგორიც არის.

წერდეს ისე, როგორც წერს. ადგეს იმ გზას, რომელსაც ადგას. ასე! რადგან სიმართლეს ქვეყნად პატრონი არ ჰყავს, ნამუხის გარდა!

სწორედ გულქართულობამ, სინდისმა და რაინდულმა სულმა შეაძლებინა ავტორს დაემარცხებინა, გადაეღახა უამრავი ცხოვრებისეული სირთულეები, ბოლომდე დარჩენილიყო ერის მიერ მთაწმინდაზე ასვენებულ ქვემო ქართლის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უერთგულეს მეგობრად და თანამებრძოლად, ჩაეტარებინა მრავალი მწერლური გამოძიება და მრავალფეროვანი, ფაქტობრივი, დოკუმენტურ მასალაზე შექმნა და წარმოედგინა საკმაოდ მოზრდილი, თითქმის 700 გვერდიანი უნიკალური თხზულება, რასაც, იმედიან ტკივილიანი, უახლოესი წარსულის არ დავიწყებით და იმედიანი ხვალინდელი დღის მოლოდინით მიიღებს ღირსეული ქართველობა.

ბია ოზანაძე, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

მონატრება

რუსუდან

აბრამიშვილი-გობატიშვილი



ნელს, 20 ნოემბერს, 100 წელი შეგისრულდებოდა. სიკვდილი ყოველთვის უდროოდ მოდის, მაგრამ შენი ამქვეყნიდან წასვლა მაინც უდროო იყო. ყველასათვის საყვარელი იყავი. შენი ოჯახის წევრებს ყველას გვემამაყებოდი. გვექონდა საამაყო და იმიტომ. წარჩინებით დაამთავრე თბილისის №48 საშუალო სკოლა, შემდეგ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. ყოველთვის სიამაყით იხსენებდი, რომ მათემატიკის საგანს დიდი ქართველი მათემატიკოსი ნიკო მუსხელიშვილი გიკითხავდა. 1949 წლიდან, პენსიაზე გასვლამდე, სხვადასხვა წლებში, მუშაობდი რუსთავის №12, 15, 17 საშუალო სკოლებში. იყავი რიგითი პედაგოგი, სასწავლო ნაწილის გამგე. ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყავი „შრომის ვეტერანის“ მედლით, ასევე, საპატიო სიგელებით და, რაც მთავარია და რაც ყველაზე მეტად გიხაროდა, კოლეგების, მოსწავლეების და მშობლების სიყვარულით.

ამაყობდი შენი აღზრდილებით, ყოფილი მოსწავლეებით, რომლებიც სახელოვნად მოღვაწეობდნენ და ქვეყნისათვის სასარგებლო შრომას ეწეოდნენ.

შენთვის განსაკუთრებით საამაყო მაინც შენი ოჯახი იყო, ქალაქში ცნობილი და დაფასებული პედაგოგი ოჯახშიც საუკეთესო და საამაგალითო, სტუმართმოყვარე დიასახლისი იყავი. მეუღლესთან, საქართველოს დამსახურებულ მშენებელთან, აბესალომ გოვატიშვილთან ერთად, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი შექმენი, რომელიც რუსთავში ერთ-ერთი პირველი ქართული ოჯახი იყო და რომელსაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც ღირსეულად უძღვებოდი.

შვილებს მოყვრებით, ერთმანეთის, სიმართლის სიყვარულით გვეზრდიდი. თუმცა შენი სურვილის (გინდოდა, ყველა მათემატკოსები, მეცნიერები გამოვსულიყავით) წინააღმდეგ, მე და ჩემმა ძმამ, ორივემ მამის პროფესია ავირჩიეთ. მშენებლები გახვდით.

სუთი შვილიშვილის ბებია იყავი, დიდი სიყვარულით ზრდიდი მათაც. 87 წლის ასაკში მიგვატოვე და გული დაგვწყვიტე. 20 ნოემბერს უშენოდ აღნიშნავთ შენი დაბადების დღეს, 100 წლისთავს. გიხსენებთ დიდი სიყვარულით და მონატრებით.

შვილები: თაიშურა, გიორგი, შვილიშვილები რუსუდანი, დარეჯანი, თამარი, თინათინი, აბასალომ გობატიშვილი.

ლია მარტაშვილი

ოჯახი პატარა სახელმწიფოა

ასე იყო ისტორიულად. ოჯახის ღირსებას, ერთობასა და სიმტკიცეს, ვერც და ბერიც განსაკუთრებულად უფროსი ილდებოდა. ეკლესიის წიაღში ჯვარდანიერი მუღღლები მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ცხოვრობდნენ გვერდგვერდ და მიაჩნდათ, რომ ოჯახის ოჯახად გადარჩენა, შვილების ერთგულებით გაზრდა და აღზრდა უპირველესი მოვალეობა იყო. ისიც კარგად ესმოდათ, რომ სოფლის, ქალაქის, მთელი საქართველოს მასშტაბით ოჯახთა ერთობასა და სიმტკიცეზე დამოკიდებული იქნება მთლიანობა და ქვეყნის მომავალი.

ასე მოდიოდა ქართველობა და ასე რუდუნებით მოჰქონდა ოჯახური ტრადიციები საუკუნეების მანძილზე, ოჯახი პატარა სახელმწიფო მიაჩნდა, რომლის დაშლამ და დარღვევამ შვილებს შესაძლებელია უამრავი თავსატეხი გაუჩინოს.

დღეს ეს თემა მრავალმხრივია აქტიური, საკამათოც, თავისთავად თემათა ჯაჭვში მოქცეული, უამრავ საფორუმო უჩინს საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს, რაზეც ხმაბლდა უნდა ვლაპარაკობდეთ, მაგრამ...

და რა ბედნიერებაა, როდესაც ასეთ პატარა, მტკიცე სახელმწიფოებს ჩვენს გვერდით ვხვდებით, ვეცნობით მათი ოჯახური ერთგულების საიდუმლოსა და ნიუანსებს, ყოველდღიურობას და ვრწმუნდებით, რომ კარგი შეკრული და ძლიერი ოჯახი, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც ხალხური ზღაპრის გმირი პერსონაჟის თავგადასავლებით, ურთულესი ამბების გადატანის შემდეგ ბედნიერი დასასრულით მთავრდება და ეს გზა ოჯახის ყველა წევრისათვის საბედისწერო გზა-წერილებითა თუ ურთულესი მოსახვევებით, ოჯახის წევრთა მარადიულ სიყვარულზე გადის.

მაშ ასე, რუსთავი, ოსტროვსკის ქ. №3, თამარაშვილების ოჯახი. აქ, ამ თბილ ოჯახურ კერაში მუღღლები — ელენე და მერაბ თამარაშვილები ცხოვრობენ თავიანთ ვაჟიშვილთან, ზურაბთან, რძალთან ნინო შურულიშვილთან და სამსაუკეთესო შვილიშვილთან ერთად. პაპასა და ბებულის სითბოს-სიყვარულს ყოველდღიურად იზიარებენ საბა, ერეკლე და გრიგოლი, რომლებიც სანიმუშო მოზარდები არიან და უფროსებს უდიდესი სიყვარულით ექცევიან.

ელენე თამარაშვილი: ჩემი დიდი პაპა, მამის მამა გიორგი ნიკლაური გუდამაყრიდან იყო, მოგვიანებით ბარში ჩამოასახლეს გუდამაყრელები, ჩვენც დედოფლისწყაროს ზემო ქედში დავინწყეთ ცხოვრება, უკეთესობილეს ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მამა, მიხეილ ნიკლაური, კოლმეურნეობის მანქანის მძღოლი იყო, დედა, დიასახლისი, ჩემი ოჯახის ტრადიციები დღემდე მომყვება, მამა გვეტყოდა მე და ჩემს დას, ჩხუბი არ გავიგო, ამ ოჯახიდან მაღალი ხმა არ გავიგოდესო. სიტუბოსა და სითბოში დააბერეს სიცოცხლე ჩემმა მშობლებმა, მამა 84 წლისა გარდაიცვალა, დედაჩემიც 9 თვის მერე მის გზას გაუყვა.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემ უსაყვარლეს მუღღლესთან — მერაბთან ერთად კარგი ოჯახი



შევქმენი, არ დაგიმალავთ, მე ხეცურული სიჯიუტე და პრინციპულობა არ მაკლია, ფეთქებადიც ვარ, მაგრამ ყველაფერს მუღღლები დადებითად ვუყურებთ და ვაფასებთ. ჩვენი ცხოვრებისეული ამოცანა შვილების საუკეთესოდ აღზრდა იყო, ხშირად არ გვიღიზიანდა, გვიჭირდა, მაგრამ ბავშვებისათვის და მათი ყოველდღიურობისათვის ყურადღება არ მოგვიკლია. მე თავად უდიდესი ტრავმები გადავიტანე, სრულიად ახალგაზრდა და დამელუბა, მისი შვილებიც, არის მომენტი, როდესაც დღევანდელი, თვეების სულიერი ტკივილები მოყვება, მაგრამ შვილები ჩემთვის მუღღა უპირველესი საზრუნავი იყო. ერთი დღეც არ მახსოვს, ჩემს მუღღლეს ისე მივეტოვებინე, რომ სულიერად მარტო მერაბთან თავი, ჩვენ, ორივე ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე ვიცოდით და ვიცით, რომ პატარა სახელმწიფოს მუღღებში ვიყავით. ვინ არიან ჩემი შვილები? თავად გაგეცნობიან.

თეა თამარაშვილი: ძალიან კეთილშობილი, ტრადიციული ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, მამაჩემი, მერაბ თამარაშვილი სამივე შვილისთვის მეგობარი იყო, იგი გულისხმიერი, თბილი, დაუზარელი ადამიანია, არ მახსოვს, როდისმე დავეღალატებინეთ, რაიმეში ჩაჭრილიყო, ტყუილი ეთქვა, მისნაირი საყვარელი ადამიანი მეორე არ მინახავს, ფიქრიანი კაცია, შვილების გვერდში მდგომი, ოჯახის ღირსეული თავკაცი, მიაჩნია, რომ სანამ იცოცხლებს, არ ჩაიშვლებს, იფხიზლებს, იშრომებს, რათა ოჯახი მყარად და მტკიცედ იდგეს ფეხზე. მან ათეული წლებით სანარმოო გაერთიანება „ქიბოჭკოში“ იმუშავა მთავარ სპეციალისტად. მე მე-16 სკოლა დავამთავრე,

ძალიან საყვარელი დირექტორის ვახტანგ ჯაფარიძის დროს. დედა და მამა, რაც არ უნდა დაღლილები ყოფილიყვნენ, ჩვენ ყურადღებას არ გვაკლებდნენ. ჩემი უსაყვარლესი, მოფუსფუსე, დაუზარელი, შვილების ძალიან ერთგული დედა, ელენე სკოლაშიც გვაკითხებდა, ღამე კი სანამ დავიძინებდით, გაკვეთილებს გამოგვიტანავდა, თვითონ საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, საოჯახო საქმეებს წარმატებით უძღვებოდა, თან გამუდმებით გვაკონტროლებდა.

სკოლა დავამთავრე და უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტი. 22 წელი ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი, დღეს 112-ზე ვმუშაობ, მყავს შესანიშნავი მუღღლე მიხეილ ქმოსტელი, წარმოშო-

ბით მთიულია, ისიც იურიტი, თბილისში კომპანია „ჰერმესში“ მუშაობს უფროს მეცნიერ მუშაკად. ჩვენ სიყვარულით შევქმენთ ოჯახი და დღესაც ძალიან ვუფროსილდებით ჩვენს ურთიერთობებს. სამი შვილი — ანამარია, ნატალი და ნიტა ჩვენს ოჯახის სიმდიდრე და ღირსებაა, ორმა — ანამარიამ და ნატალიმ რუსთავის მე-2 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეს და 100%-იანი დაფინანსებით მოეწვენენ — ანამარია, თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე, ახლა უკვე მესამე კურსზეა და ნატალი, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია, ორივენი დღედაღამ მეცადინეობენ, სურთ საუკეთესოები იყვნენ სასწავლებელში. პატარა ნიტა მე-8 კლასელია, გოგონებს ძალიან უყვართ ერთმანეთი. წელს უფროსები პარიზში იყვნენ თავიანთ დეიდაშვილთან, რომელიც იქ უნივერსიტეტში სწავლობს. თავისუფალ დროს მთელი ოჯახი ქალაქარეთ გავდივართ, ვისვენებთ, საქართველოს უღამაზეს სანახებს შევავლებთ ხოლმე თვალს...

შორენა თამარაშვილი (ვერსალიდან, ტელეფონით) უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ თავს, რომ ჩემი მშობლების შვილად დავიბადე. დედა და მამა, ხომ შორს ვარ, მაგრამ განუშორებელი ადამიანები არიან, ყოველდღე ვესაუბრები მათ და ასე მგონია, რომ სიცოცხლე მინანგრძლივდება. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ კარგი ადამიანები გამოვსულიყავით, დედის აღზრდის მეთოდებს აქ, ევროპაშიც ვიყენებ. სამი ქალიშვილი მყავს: სალომე, სოფია და ანა. ეს პატარა აქ დაიბადა, ფრანგია. ანა და სოფია ვერსალის საშუალო სკოლაში სწავლობენ, სალომე პარიზშია, უნივერსიტეტში სწავლობს. საქართველოში უმაღლესი დამთავრების შემდეგ მე აქაც დავამ-

თავრე ლორენის უნივერსიტეტი ქალაქნანსში. მეუღლე ქართველი მყავს, რუსთაველი, ძალიან ერთგული და საყვარელი ადამიანია, ზაფხულობით ყოველთვის ჩამოვდივართ რუსთავში, ვფიქრობთ ისევე საქართველოს დავებუნდებით. ძალიან მინდა, დედამ და მამამ დიდხანს იცოცხლონ, ჩემი და და მძა, მათი ოჯახები, ჩემი აუნონავი სიმდიდრე და საგანძურია... მე ინგლისური ენის ფაკულტეტი დავამთავრე, ერთხანობას „მოდუსში“ ვმუშაობდი, მის ყველა თანამშრომელს ჩემგან გულთბილი მოკითხვა, ჩემს ყველა რუსთაველ მეგობარსაც გულთბილ და გულწრფელ მოკითხვას ვუთვლი, ეკრანზე ხშირად ვუყურებ ჩემს გალამაზებულ ქალაქს და აქედან, ვსარგებლობ შემთხვევით და ერთი რუსთაველის ნილ უდიდეს მადლობას ვუხდის ქალაქის ახალგაზრდა მერს, თუ როდისმე საფრანგეთს ესტუმრა, ჩემს ოჯახშიც სიამოვნებით მოვიწვევ, რუსთაველებს უნდა ეამაყებოდეს მისი მერობა.

ზურაბ თამარაშვილი, მუღამ მოუცლელი და ძალიან დაკავებული კაცი. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში მუშაობს. ქალაქის საგზაო მაგისტრალის რესტავრაციასა და გალამაზებაზე. საგზაო დარგის მაღალი დონის სპეციალისტია, მეუღლე ნინო ნოტარიუსში მუშაობს. სამი ბიჭის მოვლა-პატრონობაში ბებია და პაპა უდიდეს მონაწილეობას იღებენ, საბა, ერეკლე და გიორგი მოსწავლეები არიან, თვითონაც ძალიან უყვართ მშობლები და მშობლების მშობლები.

თამარაშვილებმა ერთი რამ იციან, ეს ბიჭები არასოდეს ჩაიდენენ ცუდ საქციელს, მათი ჭკუმატილი მოძღვარი ხომ, პაპა, მერაბ თამარაშვილია.

...და ისევ ელენე — განათლებასა და წიგნებზე შეყვარებული ქალბატონი, კერძო სკოლა „მზეკაბან-2“-ის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, ერთდროულად მე-9 კლასის დამრიგებელი. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქაც, კლასში თავისი შვილიშვილებივით უნვეს მზრუნველობასა და მეთვალყურეობას მოსწავლეებს, თანაც ისე, რომ ძალიან ონავარი გოგობიჭებიდან მან ერთ თვეში უკვე შეძლო რომ შესანიშნავი კლასი ჩამოეყალიბებინა. ამ რთული ასაკის მოზარდებთან სასაუბრო ენად ქალბატონმა ელენემ სიყვარულის ენა გამოიყენა და შედეგიც სახეზეა.

მე ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ, თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით გულწრფელად, ცხოვრებაში უამრავი ქარიშხალი გადავიტანე... ოჯახის სიმტკიცე ჩემი მთავარი საზრუნავი იყო... ოჯახი ხომ პატარა სახელმწიფოა, როგორი ოჯახებიც გვექნება ქართველობას, ისეთივე იქნება ჩვენი სახელმწიფოც, უტყვის და გაუზარავი. ოჯახების დაქცევას და დაშლას კი შეუძლია ჩვენი სამშობლოს აწმყოც შეარყიოს და მომავალიც.

— ქალბატონო ელენე, ჯადოსნური კვერთხი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?


...მხოლოდ ერთ რამეს, ყველა ქართველს საუკეთესო და საამაყო საქართველოში გვეცხოვროს, ჩვენს მომავალ თაობებს დაემშვენებინოთ და ესახელებინოთ ქართველი ერი.



თემა განსჯისათვის

მაინც რა პითარებაში ბარდაიცვალა კონსტანტინე ლესელიძე?

ისტორიულ-შედეგებითი ჟურნალის „ისტორიანი“-ს მთავარ რედაქტორს ბატონ ჯაბა სამუშიას



ბატონო ჯაბა, მოგმართავთ თქვენი ჟურნალის ერთ-ერთი მკითხველი, ჟურნალის თითოეული ნომრის მოუთმენლად მომლოდინე, ჩვენი ქვეყნისა და ერის ისტორიით, ისტორიული პირების – ღირსეული ქართველების ცხოვრებით, მოღვაწეობითა და ბედით დაინტერესებული ადამიანი.

დიდად დამაინტრესა, კითხვები გამიჩინა და თქვენთან ამ წერილის მოწერა გადამაწყვეტინა „ისტორიანი“-ს წლებადღებულ პირველ ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ – „რა ხდებოდა ბრეჟნევის მმართველობის დასაწყისში“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკო ჯავახიშვილი. სტატიის ერთ-ერთ აბზაცში ნათქვამია, რომ „მეორე მსოფლიო ომის დროს... ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მე-18 არმიის მეთაურობდა სახელგანთქმული ქართველი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე (1903-1944), რომელიც ომის დამამთავრებელ ეტაპზე, ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესების გამო, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა“.

ბატონო რედაქტორო, ამ აბზაცის ბოლო წინადადება – „რომელიც ომის დამამთავრებელ ეტაპზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესების გამო, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა“, ბევრს ვერაფერს ეუბნება მკითხველს ქვეყნისა და ერის წინაშე წამსახურები კონსტანტინე ლესელიძის სიცოცხლის ბოლო დღეებზე, უფრო კონკრეტულად, აღსასრულზე... პირადად მე კი, კითხვებს და ამ კითხვებზე პასუხის მიღების სურვილსაც და მოლოდინსაც მიჩენს.

ამ წერილს გწერთ მეორე მსოფლიო ომამდე დაბადებული ქალი, ვისმა ბავშვობამ ომისა და ომისშემდგომ პერიოდში გაიარა და კარგად მახსოვს, როგორ ვმღეროდი მაშინდელი მოსწავლეები იმ დროს პოპულარულ სიმღერას „...ლესელიძე ცოცხალია და სამშობლო მასზე მღერის“. მართო ეს? ხელიდან ხელში გადადიოდა იმ წლებში გამოცემული მცირე მოცილობის წიგნი (წიგნის სათაური და ავტორი არ მახსოვს), რომელიც კონსტანტინე ლესელიძის ცხოვრებასა და გმირულ საბრძოლო მოღვაწეობაზე გვიყვებოდა.

იქ, იმ წიგნში ვწერა, რომ კონსტანტინე ლესელიძე გარდაიცვალა... ანგინით. 10-11 წლის გოგონას მაშინაც გამიკვირდა, არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე როგორ და რატომ გარდაიცვალა ანგინით, რა, იმ არმიის ექიმები არ ჰყავდა? მედიკამენტები არ ჰქონდათ? როგორ ვერ უწამლეს არმიის სარდალს? თუ ომის მიწურულს არმიის სარდალი შეიძლება ანგინით გარდაცვლილიყო, რიგითი ჯარისკაცები რა დღეში იქნებოდნენ, რა დავმართებოდათ, თუ ისინიც ანგინით დაავადდებოდნენ?

იმავე წიგნში ისიც ვწერა, რომ გარდაცვლილი სარდალის ნეშტი მოსკოვში სპეციალური სამხედრო თვითმფრინავით გადაასვენეს და რომ მოსკოვი გარდაცვლილ სარდალს შეეგება, როგორც გმირს... თუმცა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მას მხოლოდ 1971 წლის 31 მაისს მიენიჭა, გადაცვალებიდან 27 წლის შემდეგ (!). არადა, გარდაცვალებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც, გმირის წოდების ოფიციალურად მინიჭებამდეც, კონსტანტინე ლესელიძე იხსენიებოდა, როგორც გმირი და გმირი გარდაიცვალა... ანგინით! საკითხავია, იმ წლებში, თუნდაც ფრონტზე, საომარ პირობებში, ვინმე, სამხედრო პირი, არმიის სარდალი, ან რიგითი ჯარისკაცი, გარდაიცვალა ანგინით?

ჩემი მაშინდელი არც გაკვირვება და არც შესაბამისი კითხვები ხმამაღლა არ გამოვითქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბავშვობის წლებს არ გაჰყოლია, ჩემში ღრმად ჩარჩენილა და მერე, უკვე მოზრდილ ასაკში გამიხსენდა...

ეს მაშინ, 1956 წლის 9 მარტის მოვლენებისას (რომლის მონაწილეც, ჩემს თანატოლებთან, მთელ ქართველობასთან ერთად, მეც გახლდით და მე ეს ძალიან მემამყვება ზოგიერთთაგან განსხვავებით, რადგან მაშინ მარტო 3 წლის წინ საექვო ვითარებაში გარდაცვლილი იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის სახელს კი არა, საქართველოს, ქართველობას ებრძოდნენ და ჩვენ, მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილენი, ჩვენს სამშობლოსა და ჩვენს ქართველობას ვიცავდით! ვფიქრობ, არავის დაგინწყებია ქართველთ მოძულე ნიკიტა ხრუშჩოვის ცნობილი ფრაზა: „ვაგონო პოდაში“, რაც ქართველების თავიანთი ისტორიული მიწა-წყლიდან აყრას და ყაზახეთში გადასახლებას გულისხმობდა. ისიც საკითხავი იყო, ადამიანად შემთხვევით დაბადებული არსება ქართველების გადასახლებით დაკმაყოფილდებოდა? გადასახლებლად განწირული ქართველებით სავსე ვაგონები ყაზახეთამდე ჩააღწევდა კი? თუ მეორე „შორაპანი“ გამოვრდებოდა? მოვისმინე ფრონტგამოვლილი ორი მამაკაცის საუბარი, არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე არმიის სამხედრო საბჭოს სხდომის მსვლელობისას იმავე საბჭოს წევრის, რომელიღაც გენერლის ადიუტანტმა დაჭრა სასიკვდილოდ... იმ გენერლის თუ ადიუტანტის გვარიც გავიგონე, მახსოვს, ვერხოიანსკი თუ ვერხოვესკი... რა მოხდა? ვიღაც(!) გენერლის ვიღაც(!) ადიუტანტს, ჯანდაბას მათი თავი, რატომ, ეს კიდევ სხვა კითხვაა, მაგრამ როგორ მიუწვდა ხელი, არმიის სარდა-

ლი როგორ უნდა დაეჭრა სასიკვდილოდ?

ის გაკვირვებაც და შესაბამისი კითხვებიც მაშინ ვისთვის და როგორ გამემხილა და ჩამრჩა გულში, ღრმად ჩამრჩა და თქვენი ჟურნალის დასახელებული სტატიის წაკითხვისას ხელახლა განმიახლდა და უფრო მძაფრად და უფრო ქართულად...

ბატონო რედაქტორო, თუ კონსტანტინე ლესელიძის აღსასრულის შესახებ ჩემთვის, ერთი რიგითი ქართველი ქალისათვის, მართალია, არაოფიციალურად, შემთხვევით მოსმენილით, მაგრამ ასე თუ ისე, ცნობილი გახდა, ნუთუ უცნობია ისტორიკოსებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მეორე მსოფლიო ომის თემაზე წერენ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ომის დოკუმენტურ მასალებსა და ისეთი პიროვნებების ბიოგრაფიაზე, როგორიც იყო და არის კონსტანტინე ლესელიძე?

თუ კონსტანტინე ლესელიძის აღსასრული – რა და რატომ და როგორ – მაშინ, იმ წლებში და შემდეგაც, რაღაც პერიოდში(!) სამხედრო საიდუმლოებად იყო მიჩნეული, დღეს რატომ და რისთვის და როდემდე? არ დადგა დრო, გაცხადდეს დაფარული? იქნებ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც გასარკვევს გაარკვევს და ჩვენ, ქართველებს, ვისაც გვეძვირფასება და გვეამაყვება ღირსეული ქართველების სახელი, გვეცოდინება, მაინც როგორი იყო კონსტანტინე ლესელიძის სიცოცხლის ბოლო დღეები, რა იყო მისი აღსასრულის ნამდვილი მიზეზი?

ვის რას დააკლებს არცთუ შორეული წარსულის მართალი სიმართლის გამოძიება,

მიგნება მისაგნებელის, ცოდნა საცოდნელის და გასაჯაროება გასაჯაროებლის?

კონსტანტინე ლესელიძის გარდაცვალების(!) თარიღს არცთუ ისე დიდი დრო, რაღაც რვა ათეული წელი გვაჭორებს... და თუ ახლო წარსულში ქვეყნისა და ერის წინაშე წამსახურები კაცის, გმირის აღსასრულის ნამდვილი გარემოება მოაქვამამდე გამოუძიებელი და უცნობი დაგვრჩა და კვლავაც დაგვრჩება, ჩვენი და არამართო ჩვენი ისტორიის უფრო შორეულ ეპოქებში მომხდარს როგორ მივაკვლევთ და როგორ შევიცნობთ...

ნუთუ ჩემი გაკვირვებები და კითხვები ვინმესთვის გასაკვირი იქნება და პასუხგაუცემელი დარჩება?

გთხოვთ მომიტევეთ, ამ წერილის წაკითხვით დრო რომ წაგართვით.

პატივისცემით
თინათინ სიჭავჭავიძე
რუსთავი,
მირკანი, 2023 წელი

P.S. ამ ღია წერილით შარშან, მარტშივე, მივმარტე ჟურნალ „ისტორიანი“-ს მთავარ რედაქტორს, დღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ჯაბა სამუშიას. მასალა ელექტრონული ფოსტით გადავუზღვანე. შემდეგ ტელეფონით შევეხმიანე. მან მითხრა, რომ ჩემს წერილს ყურადღებით გაეცნო და დაინტერესდებოდა... მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ამით დასრულდა. ჩემი წერილი ჟურნალში არ დაიბეჭდა და დღემდე არც რაიმე სახის გამოხმაურება არ მოჰყოლია...

მიმაჩნია, რომ ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგია და სტატიის – „რა ხდებოდა ბრეჟნევის მმართველობის დასაწყისში“ – ავტორი, ბატონი ნიკო ჯავახიშვილი და მასში დასმული კითხვებით საქმიანად უნდა დაინტერესებულიყვნენ...

მე კი, ხომ არავის გაუკვირდება, რომ არა და არ მტოვებს კითხვები კონსტანტინე ლესელიძის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზისა და გარემოების შესახებ და ამ კითხვებზე პასუხის მიღების სურვილი... იმედი მინდა ვიქონიო, ჩემს ამ ღია წერილს ამჯერად მაინც ვინმე გამოეხმაურება...

ფსიქოლოგები ადამიანების შესახებ

1. როდესაც ადამიანი ძალიან ბევრს იცინის, მაშინაც კი როცა მიზეზი ძალიან სულელურია, ასეთი ადამიანი შინაგანად მარტოსულად გრძობს თავს.
2. როდესაც ადამიანს დიდხანს ძილი უყვარს, ის სევდიანია.
3. როცა ადამიანი სწრაფად, მაგრამ ცოტას საუბრობს, ის საიდუმლოებებს ინახავს.
4. როცა ადამიანს ტირილი შეუძლია, ის სუსტია.
5. როცა ადამიანი არანორმალური მანერებით ჭამს, ის დაძაბულია.
6. როცა ადამიანი მცირე მიზეზზეც კი ტირის, ის გულჩვილი და კეთისინდისიერია.
7. როცა ადამიანი სწრაფად ბრაზდება მარტივ მიზეზზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიყვარული სჭირდება.



ჰამლეტ გონაშვილის სახელობის რეაბილიტირებული სკვერი საზეიმოდ გაიხსნა

რუსთავში, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ახლად რეაბილიტირებულ სკვერში, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ვარსკვლავი გაიხსნა.

ანსამბლი „რუსთავი“ 1968 წელს, 55 წლის წინ, რუსთავში დაარსდა.

ჰამლეტ გონაშვილის სახელობის განახლებული რეკრეაციული სივრცე რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ანსამბლ „რუსთავის“ წევრებთან, სტუმრებთან და მოსახლეობასთან ერთად გახსნა.

ლონისძიებმა საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოსტურიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, ანსამბლ „რუსთავისა“ და სხვა ფოლკლორული ანსამბლების წარმომადგენლები, ანზორ ერქომაიშვილისა და ფრიდონ სულაბერიძის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

ქალაქის ცენტრალურ გამზირზე არსებული მწვანე სივრცის სრული განახლება რუსთავის მერიამ მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით უმოკლეს ვადაში განახორციელა.

რეაბილიტირებული რეკრეაციული სივრცის მთავარ შესასვლელს დაუბრუნდა ჰამლეტ გონაშვილის აღდგენილი ბიუსტი, სკვერის მეორე მხარეს კი რუსთავის ქორეოგრაფიულ კონკურს-ფესტივალ - „ქართულის“ ლოგოს იდენტური ქართულის მოცეკვავე ქალ-ვაჟის მონუმენტი განთავსდა.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ვარსკვლავი, „მრავალფეროვნების“ ფონზე გაიხსნა, რომელიც ანსამბლმა „რუსთავმა“ შეასრულა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სალხინომ“ კი სპეციალურად დადგმული პერფორმანსი წარადგინა. ღონისძიებას ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა.

ანსამბლ „რუსთავის“ ვარსკვლავის გახსნით რუსთავის მერიამ კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი და ქართული სიმღერის კორიფეს - ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სივრცეში, პერიოდულად ვარსკვლავს სხვა ფოლკლორულ ანსამბლებსა და შემსრულებლებსაც გაუხსნია.



ოთარ ჩხარტიშვილის სახელობის ხელოვნების გალერეა რუსთავში



რუსთავს 20 წლის შემდეგ, პირველად, ოთარ ჩხარტიშვილის სახელობის ახალი სამხატვრო გალერეა აქვს.

ახალი გალერეის გახსნით რუსთავის მერიამ მოსახლეობისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებისთვის მიცემული კიდევ ერთი პირობა შეასრულა.

მე-20 საუკუნის უდიდესი ნონკონფორმისტი მხატვრის სახელობის ხელოვნების გალერეა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ახალ შენობაში, ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევრების სერიის - „წელიწადის ოთხი დრო - ჩემი ეზო“- გამოფენით გაიხსნა.

უნიკალური ნამუშევრების ეს სერია მხატვარმა რუსთავში ცხოვრების პერიოდს მიუძღვნა. ფერწერულ ტილოებზე მხატვრის სახლის ფანჯრიდან დანახული 70-80-იანი წლების რუსთავია ასახული.

ახალი სამხატვრო გალერეა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ გახსნა.

გალერეის გახსნის ღონისძიებას დევილითა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე და მისი მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოსტურიშვილი, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარები - გიორგი ვოლსკი და ზაზა ლომინაძე, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, ხელოვნებისა და სამხატვრო სფეროს წარმომადგენლები, ოთარ ჩხარტიშვილის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

რუსთავის მერიამ მოსახლეობისთვის და რუსთაველი მხატვრებისთვის მიცემული კიდევ ერთი დაპირება შეასრულა. ხელოვნების გალერეის გახსნით რუსთაველი მხატვრების დიდი ხნის სურვილი ასრულდა.

სამხატვრო გალერეის შენობა რუსთავში 2005 წელს გაიყიდა და მას შემდეგ რუსთაველ მხატვრებს დახურული საგამოფენო სივრცე აღარ ჰქონიათ. სივრცე, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ახალი შენობის პირველ სართულს იკავებს, დღეიდან არამარტო რუსთავის და საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბის გამოფენებსაც უმასპინძლებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ახალგაზრდული ცენტრის სტატუსით და მულტიდისციპლინური კონცეფციით, უკვე ამ შემოდგომიდან მიიღებს ახალგაზრდებს. ხელოვნების გალერეა ახალგაზრდული ცენტრის ახალი კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

რუსთავში, სამხატვრო გალერეის გახსნა თითოეული რუსთაველი ხელოვანის და მხატვრის დიდი ხნის სურვილი იყო